ოქმი:**ო05.37220871**
თარიღი:**28/03/2022**

ოქმი №6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2022 წელი, 18 მარტი

ქ.ოზურგეთი

11.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ.ნიჟარაძე, მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ე.გორდელაძე, ხ.ცერცვაძე, გ.მდინარაძე, ნ.ნადირაშვილი, ლ.ბიგვავა, პ.სალუქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის რეგისტრაციის შესახებ.

მომხსენებელი: პ.კიღურაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: პ.კიღურაძე

4. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: პ.კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ პ.კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო მიმდინარე წლის 9 თებერვლის წერილი N-10 37220405 და თანდართული მასალები ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის რეგისტრაციის შესახებ“, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-2 მუხლით, აქედან გამომდინარე, კომისიამ იხელმძღვანელა რა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 36-2 მუხლით მიიღო

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის რეგისტრაცია, დასკვნა წრედგინოს საკრებულოს ბიუროს.

სხდომის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიში, კომისიამ იხელმძღვანელა რა საკრებულოს რეგლამენტის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტით მიიღო

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიში“-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენა ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ პ.კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“, კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ანგარიში შედგენილია საქართველოს საბიუჯეტო საბიუჯეტო კოდექსის 87 -ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ამასთან არის ხარვეზებიც, რომელთა გათვალისწინება მოსახლეობისათვის უფრო გასაგებს გახდის ანგარიშს. კომისიამ იხელმძღვანელა რა, საკრებულოს რეგლამენტის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტით მიიღო

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს .

სხდომის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას, გამომდინარე აქედან კომისიამ მიიღო

გადაწყვეტილება:

მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული „სახელმწიფო აუდიტის ანგარიში“ წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად ცნობად მიღების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი